შირაქი

SHIRAKI

www. opentext. ge

გამოდის 1937 წლიდან

№5 (9.570)

16-22 თებერვალი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

„ქარვა“ ბრუნდება

9 თებერვალს სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით კირვალიძე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია, პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრი ალექსანდრე თამაზაშვილი დედოფლისწყაროს სტუმრობდნენ. მათ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელთან ირაკლი შიოლაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილთან ერთად ზეთის ქარხანა „ქარვა“ დაათვალიერეს.

ზეთის ქარხანა 2005 წლიდან ოპერირებს „ქარვას“ ბრენდის სახელით. გასული წლის შემოდგომაზე დაიწყო მისი გადაიარაღება, რომლის თანამონაწილეც გახლავთ შვეიცარული კომპანია. სოფლის მეურნეობის მინისტრის დავით კირვალიძის განცხადებით, საწარმოს გახსნა ხელს შეუწყობს დედოფლისწყაროში ფერმერული მეურნეობების განვითარებას, კერძოდ, გლეხებს შეეძლებათ, მათ მიერ მოწეული მზესუმზირის მოსავალი ჩააბარონ ქარხანას და ამით რეალიზაციის პრობლემაც მოაგვარონ. *„მზესუმზირის ზეთის წარმოება ძალიან მნიშვნელოვანი და საშური საქმეა, დედოფლისწყაროში შესაძლებელია ვაწარმოოთ საკმაოდ დიდი რაოდენობის მზესუმზირა. ქარხანას 15 ტონა მზესუმზირის წარმადობა აქვს და დღეში 10 ჰექტარზე მოყვანილი პროდუქციის ჩაბარება შეუძლია. დღეს პრობლემა უფრო ნედლეულის წარმოებაა, ვიდრე მისი გადამუშავება და რეალიზაცია. ახლა იწყება უპრეცედენტო სოფლის მეურნეობის პროგრამა, რომლის წყალობითაც მცირე ფერმერები შეძლებენ მიწის დამუშავებას,*

შესაძლებელია წინასწარი შეთანხმება გაფორმდეს ფერმერთა ასოციაციასა და საწარმოს შორის, რათა მას შემდეგ, რაც სახელმწიფო პროგრამით დამუშავდება

მათი ნაკვეთები, ფერმერებს მიეცეთ ის სათესლე მასალა, რომლისგან მიღებული პროდუქციაც ქარხანას სჭირდება, ამავე დროს გაეწიოთ კონსულტაცია მოყვანის დროს, ხოლო მიღებული მოსავალი გარანტირებულად ჩაიბარონს ამ საწარმომ"

- განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალიძემ.

საწარმოს ამუშავება დადებითად შეაფასა ასევე ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრმა დავით ნარმანიამ: -*„ნებისმიერი ასეთი საწარმოს ამუშავება, რომელიც ასაქმებს ადამიანებს და თავის წვლილს შეიტანს მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში, ასევე, ბიუჯეტში შეიტანს გადასახადებს, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია ეკონომიკური და რეგიონული განვითარების თვალსაზრისით. მნიიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ამან უნდა უზრუნველყოს სხვა სექტორების განვითარება, იგივე სოფლის მეურნეობის განვითარება. როცა გაჩნდება მოთხოვნა საწარმოს მხრიდან ნედლეულზე, რასაკვირველია, გლეხური და ფერმერული მეურნეობები იფიქრებენ იმაზე, რომ უფრო მეტი მოიყვანონ.*

(გაგრძელება გვ.3)

„ქოჩების ტბის“ პროექტი რეალურად არ არსებობდა

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამრეკლოში მდებარე ე.წ. „ქოჩების ტბის“ რეაბილიტაციის მრავალმილიონიანი პროექტი ბლეფი აღმოჩნდა. ხსენებული ადგილის განვითარებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტებით მოწყობის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა არჩევნებამდე ორიოდე თვით ადრე გააჟღერეს. საარჩევნო კამპანიის დროს ამ ფაქტს აქტიურად იყენებდა ერთ-ერთი კანდიდატი ზაზა კედელაშვილი. მიუხედავად მასშტაბური პრეზენტაციისა, რომელსაც თვით პრეზიდენტიც კი ესწრებოდა ირკვევა, რომ რეაბილიტაციის პროექტი საერთოდ არ არსებობს და მისი გახმაურება მხოლოდ წინასაარჩევნო პიარს ემსახურებოდა.

გასულ კვირას გახმაურდა, რომ კახეთის ყოფილ ვიცეგუბერნატორ გიორგი სიბაშვილს ფინანსური პოლიცია დედოფლისწყაროს ტბის რეაბილიტაციაზე გამოყოფილი თანხების გაფლანგვაში ადანაშაულებს. გაზეთი „შირაქი“ დაინტერესა, სად გაქრა 24 145 ლარი და რატომ შეჩერდა სამუშაოები.

კახეთის გუბერნატორის ყოფილი მოადგილე გიორგი სიბაშვილი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა დააკავა. სიბაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, რაც თავისუფლების 11 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ სიბაშვილის დავალებით დედოფლისწყაროში არსებული ქოჩების ტბის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, კახეთის რეგიონული სააგენტოს დირექტორმა ვალერიან გრემელაშვილმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „ხიდთან“, რომელმაც 74 963 ღირებულების ჩატარებული სამუშაოების ხელშეკრულება წარადგინა. გამოძიებით დადგინა, რომ რეალურად შესრულდა ნაკლები ღირებულების სამუშაოები და გაფლანგული თანხა აღმოჩნდა 24 145ლარი.

კახეთის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელობდა ვიცეგუბერნატორი გიორგი სიბაშვილიც.

დედოფლისწყაროს გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი ქოჩების ტბის რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებით სკანდალურ განცხადებას აკეთებს. გამგებელი ირწმუნება, რომ ტბის რეაბილიტაციის პროექტი დიდხანს ეძება, ბევრგან მოიკითხა, მაგრამ გაირკვა, რომ ასეთი პროექტი არ არსებობს. დედოფლისწყაროში, ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე სააკაშვილისა და კედელაშვილის მიერ მოწყობილი ქოჩების ტბის რეაბილიტაციის პროექტის პრეზენტაცია და ფართო ცერემონიაც სიცრუე აღმოჩნდა.

„სხვათაშორის, ჩემი ამ თანამდებობაზე მოსვლის პირველივე დღეებში, ერთ-ერთი პირველი საკითხი, რითიც დავინტერესდი, სწორედ „ქოჩების ტბის“ რეაბილიტაცია იყო. ჩემდა სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ რეაბილიტაციის პროექტი არ არსებობს! ეს იყო პიარი!.. მხოლოდ 140 კვადრატული მეტრი ფილაა ჩამოტანილი და ესეც იმიტომ, რომ კონკრეტული ადამიანი უნდა ჩამოსულიყო წინასაარჩევნოდ დედოფლისწყაროში და ადგილობრივ მოქალაქეებს შეხვედროდა. არ ვიცი, „ნაციონალური მოძრაობა“ რეალურად აპირებდა თუ არა ტბის რეაბილიტაციას.

ჩვენ ვფიქრობთ ტბა გავაკეთოთ, თუმცა, არ გვინდა ნაადრევი დაპირებები გამოგვივიდეს. ამ ტბასთან დაკავშირებით ჩვენ სხვანაირი მიდგომა გვაქვს. არ გვინდა ისე გაკეთდეს, რომ ხელმიუწვდომელი იყოს ადგილობრივებისთვის და მხოლოდ ტურისტებისთვის იყოს გათვლილი. პირადად ჩემთვის, როგორც რიგითი დედოფლისწყაროელისთვის, ის მაკეტი, რაც წინა მთავრობამ საარჩევნოდ წარმოადგინა, მთლიანად მიუღებელია, რადგან დღევანდელ სოციალურ პირობებს არ პასუხობს. ტურისტები მისასალმებელია, რომ ტურიზმის განვითარებაზე კეთდებოდა აქცენტი, თუმცა, დედოფლისწყაროს გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ პრიორიტეტული უნდა იყოს ისეთი გასართობი ადგილის შექმნა, რომელსაც ადგილობრივები გამოიყენებენ. როგორც ცნობილია, „კახეთის განვითარების ფონდი“ გეგმავდა ამ ტბის რეაბილიტაციას.

(გაგრძელება გვ. 5)

ნაგავსაყრელის გაწმენდითი სამუშაოები დაიწყო

გვ. 3

არა მალადობას!

გვ. 5

მხატვრად უნდა დაიბადო...

გვ. 4-8

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

საქართველო აუცილებლად გადარჩება - ილია მეორე

ბევრს შურს საქართველოსი, მაგრამ სამშობლო და მისი სიყვარული არის ღვთის ჯილდო და ყველაზე დიდი სათნოება, – ბრძანა დღეს მირქმის დღესასწულთან დაკავშირებით შესრულებული წირვის დასრულების შემდეგ ქადაგებისას სრულიად საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II.

მისი თქმით, საქართველო აუცილებლად გადარჩება, გავა სამშვიდობოზე და ქართველი ხალხი გაიხარებს.

როგორც უწმინდესმა აღნიშნა, მირქმა უდიდესი დღესასწაულია, რომლის დროსაც ერთმანეთს ხვდებიან ძველი და ახალი აღთქმა. ამ დღეს ძველი აღთქმა თავის მისიას ასრულებს და ახალი იწყება.

"ეს არის დღე, როდესაც მართალი სვიმეონი სული წმინდით მივიდა ტაძარში და იქ დახვდა იესო. ამის შემდეგ ის უკვე სიხარულით აღესრულა. ეს არის სანატრელი ყოველი ადამიანისთვის, რომ უფალმა იგი მშვიდობით წაიყვანოს. ამისთვის საჭიროა რწმენა, სიყვარული, კეთილი საქმეები და სულიერი მოღვაწეობა", - ბრძანა უწმინდესმა და აღნიშნა, რომ საქართველოს უამრავი განსაცდელი ხვდება, თუმცა ღვთის მადლით მისი მომავალი მშვიდობიანია. საჭიროა მოთმინება და სულგრძელობა. არავინ უნდა იფიქროს, რომ თუ ადამიანი ქართველია, მას საქართველო უფრო მეტად უყვარს, ვიდრე სხვას. ,,ჩვენ ყველას გვიყვარს სამშობლო. ქართველი ადამიანი სიცოცხლეს სწირავდა და წირავს სამშობლოს კეთილდღეობისთვის, საქართველო აუცილებლად გადარჩება, გავა სამშვიდობოზე და ქართველი ხალხი გაიხარებს", - ბრძანა უწმინდესმა.

ქადაგების დასასრულ პატრიარქმა რამდენიმე სასულიერო პირი დააჯილდოვა და ავღანელთა კავშირი და მისი თავმჯდომარე ნუგზარ კახნიაური დალოცა.

ბურჯანაძის პარტია შუალედურ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს

„დემოკრატიული მოძრაობა" შუალედურ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს. ამის შესახებ 15 თებერვალს "დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ სასტუმრო "ძველ თბილისში" პოლიტპატიმრებთან შეხვედრაზე განაცხადა.

ბურჯანაძემ კონკრეტული კანდიდატების დასახელებისგან თავი შეიკავა და განაცხადა, რომ ეს ჯერ ნაადრევია, რადგან არჩევნების თარიღი მხოლოდ დღეს გამოცხადდა. მისი თქმით, პარტია ამ საკითხზე იმსჯელებს. " არ გამოვრიცხავთ მონაწილების მიღებას, რადგან პარტია გადადის სრულიად სხვა რელსებზე და ქვეყანაში ოქტომბრის არჩევნების შემდეგ სულ სხვა ვითარებაა შექმნილი"; - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. მან იმედი გამოთქვა, რომ ქვეყანაში საარჩევნო გარემო კიდევ უფრო გაუმჯობესდება. " აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ჩვენი პარტიის ამოცანა იქნება ყველა არჩევნებში ჩაბმა"; - აღნიშნა ბურჯანაძემ.

შეგახსენებთ - ცესკოს გადაწყვეტილებით შუალედური არჩევნები 27 აპრილს ჩატარდება.

მზადეოფნა საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის

ნაციონალური მოძრაობა მზად არის, იყოს კონსტრუქციული და ის საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც პრეზიდენტსა და მთავრობას, ასევე პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის უფლებამოსილებასა და დამოკიდებულებას განსაზღვრავს, დღესვე აამოქმედოს. ეს განცხადება საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა, დავით ბაქრაძემ ნაციონალური მოძრაობის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ვიდეომიმართვაში გააკეთა.

"ჩვენი შეთავაზებაა, რომ ახალი კონსტიტუციის დიდი ნაწილი ამოქმედდეს დღესვე და არ დაველოდოთ ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებს. ვფიქრობ, ეს უკიდურესად კონსტრუქციული შეთავაზებაა და ამ პროცესში მთავარი ამოსავალი წერტილი ჩვენთვის იყო ზრუნვა არა იმაზე, თუ ვის რა უფლებამოსილება ექნება და ვინ რამდენად მყარად იგრძნობს თავს საკუთარ სკამზე, არამედ ზრუნვა ჩვენს საზოგადოებასა და ქვეყანაზე," – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მისი თქმით, ამ საკითხზე შეთანხმება გახსნის გზას სხვა საკითხების დასარეგულირებლადაც, რაც მნიშვნელოვანია საზოგადოების დასამშვიდებლად, მათ შორის საუბარია დაპატიმრებების ტალღის შეჩერებაზე და მთლიანობაში საზოგადოების სტაბილურობის და სიმშვიდის ახალ ეტაპზე გადასვალზე.

ბაქრაძემ ნაცმოძრაობის შეთავაზებას უაღრესად პოზიტიური და ქვეყნის ინტერესებზე მორგებული უწოდა. იგი ასევე მიესალმა იმ ფაქტს, რომ ამ შეთავაზებას საპარლამენტო უმრავლესობაშიც პოზიტიურად შეხვდნენ.

"ჩვენი პოზიციაა, რომ ყველა იმ თემასთან მიმართებაში, რაც აწუხებს მთავრობას, კერძოდ ეს არის ურთიერთობა პრეზიდენტსა და მთავრობას შორის, მთავრობას და პარლამენტს შორის და პრეზიდენტს და პარლამენტს შორის, ყველა ამ ნაწილთან ურთიერთობაში ჩვენ მზად ვართ ვიყოთ კონსტრუქციულები და მზად ვართ, რომ ეს ნაწილი მთლიანად ავამოქმედოთ დღესვე. რაც შეეხება სხვა უფლებამოსილებებს, მიდის მოლაპარაკება, ჩვენ მიგვაჩნია, რომ სიჩქარე არ ღირს და მათი ძალაში შესვლა შესაძლებელია მოხდეს ოქტომბრიდან, როგორც ეს თავიდან იგეგმებოდა", - განაცხადა ბაქრაძემ.

მისივე თქმით, საპარლამენტო უმცირესობასა და უმრავლესობას შორის ამ დროისთვის მიმდინარეობს მუშაობა იმაზე თუ რა საკონსტიტუციო ცვლილებები ამოქმედდება დღესვე და რა - ოქტომბრის თვეში.

შეგახსენებთ, რომ არსებული კონსტიტუციით, პრეზიდენტს მთავრობის დათხოვნის და მინისტრთა ახალი კაბინეტის თვითონ ფორმირების უფლება აქვს, თან ისე, რომ პარლამენტის მხარდაჭერა არ სჭირდება. უმცირესობა სწორედ ამ მუხლის შეცვლას მოითხოვს.

ლორის გრიპით 5 თვის ჩვილი გარდაიცვალა

5 თვის ჩვილი გარდაიცვალა დედოფლისწყაროს რაიონულ საავადმყოფოში. გაზეთი „შირაქის" ინფორმაციით, ახალშობილი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საზღვრისპირა სოფელ კასრისწყლიდან გადმოიყვანა.

დედოფლისწყაროს საავადმყოფოს ხელმძღვანელის ხათუნა აგლაძის განმარტებით, ჩვილი საავადმყოფოში შეყვანისთანავე გარდაიცვალა.

„გასინჯვაც ვერ მოვასწარით, სტაციონარში შემოყვანიდან 3-4 წუთში გარდაიცვალა. სხვა ინფორმაცია არ მაქვს. მაშინვე პოლიცია და სამაშველო სამსახური გამოვიძახეთ," — აღნიშნავს აგლაძე.

მედიკოსების განმარტებით, ახალშობილი ასაკთან შედარებით განვითარებასაც ჩამორჩა. ერთ-ერთი ვერსიით, ახალშობილს რამდენიმე დღის განმავლობაში მაღალი ტემპერატურა ჰქონდა. გარდაცვალების ერთ-ერთ მიზეზად ე.წ. „ლორის გრიპის" ვირუსული ინფექცია და მშობლების უყურადღებობა სახელდება.

გაზეთ „შირაქის" ინფორმაციით, ჩვილი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ოჯახიდანაა. მომხდართან დაკავშირებით პოლიციაში მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

სოფელ კასრისწყალის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის ზეზვა გოჩილაიძის განცხადებით, ჩვილის მშობლები საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმუღანლოდან არიან და დროებით კასრისწყალში ცხოვრობენ. მისი თქმით, ბავშვს სავარაუდოდ ვირუსი ჰქონდა, ის სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში მაღალი ტემპერატურით გადაიყვანა.

„ბავშვის მამა კასრისწყალში მწყემსად იყო, დროებით ცხოვრობდნენ აქ. როგორც გავიგე, ბავშვის დედას ჰქონია გრიპი და ალბათ ბავშვსაც გადაედო. გუშინ მაღალი სიცხე ჰქონდა, მეც მივედი სანახავად. მითხრეს, რომ თავს კარგად გრძნობდა და გუშინ ჭამდა კიდევაც. სიცხემ რომ აუწია და სასწრაფო გამოვიძახეთ, დროზე მოვიდა, მაგრამ ბავშვის გადარჩენა ვერ მოხერხდა," — განაცხადა ზეზვა გოჩილაიძემ.

სოფელი კასრისწყალი ახმეტის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის. თუმცა სოფელი სხვა დასახლებულ პუნქტებს ძალზე მოწყვეტილია.

ახმეტიდან 162 კილომეტრითაა დაშორებული, ხოლო დედოფლისწყაროდან 45 კილომეტრით. სოფელ კასრისწყალში 2002 წლის აღწერის მონაცემებით 400-მდე ადამიანი ცხოვრობს.

ბოლო დროს H1N1 ვირუსის 8 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა საქართველოში. როგორც ცნობილია, რამდენიმე ათეული ბავშვი თბილისის იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკაში ამ დრომდე გადის მკურნალობას.

დაავადებათა კონტროლის ცენტრში აცხადებენ, რომ ვითარება საგანგაშო არ არის, თუმცა ისინი მოსახლეობას თვითმკურნალობისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებენ.

ექიმების განცხადებით, წლევანდელ ვირუსს პნევმონია ახასიათებს. არსებული მონაცემებით, წელს H1N1 ვირუსით კიდევ 3 ადამიანი გარდაიცვალა.

ილია მარტყოფლიშვილი

აგრესია, როგორც ასეთი...

საქართველოში ბოლო ერთი კვირის მანძილზე განვითარებულმა მოვლენებმა, რომელიც 8 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან დაიწყო და 13 თებერვალს ტელეკომპანია „მაესტროს" ეთერში გაგრძელდა, არცერთი ადამიანი გულგრილი არ დატოვა. მოსახლეობის ერთი ნაწილი განსაკუთრებულად მაინც ტელევიზიის პირდაპირ ეთერში მომხდარმა ამბავმა აღაშფოთა.

ამ ფაქტს საინტერესო გამოხმაურება მოჰყვა სოციალურ ქსელებში. კერძოდ, მომხმარებლები იმას კი არ არჩევდნენ, რამდენად მისაღებია, ხალხის რჩეულები პირდაპირ ეთერში ერთმანეთს დედას რომ აგინებენ, არამედ იმას - ვინ ვინ სცემა. ეს გასაგებია, რადგან ქართველები ვართ და არ გვსურს გალახულის იმიჯის ტარება იმის მიუხედავად, ჩხუბი სკოლის უკან იყო თუ ტელეკამერების წინ.

მომხდარი დაგმო ორივე მხარემ- "ქართულმა ოცნებამაც" და „ნაციონალებმაც". უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა თქვა, „თუ თავს ვერ იკავებ, სჯობია სახლში დარჩეო". ეს სიტყვები ორივე მხარეს ეკუთვნოდა, მაგრამ ალბათ უფრო კობა დავითაშვილს, რომლის სახელსაც პარლამენტარიზმის ისტორიაში არაერთხელ მიენიჭა მოჩხუბარის „იარლიკი" საზოგადოების თვალში

"ნაციონალების" ტაქტიკა კი მაზოხისტის ფსიქიკასთან ასოცირდება, რომელიც იხვეწება:"მცემეთ, მცემეთო". მაინც, რას ემსახურება მათი ასეთი ტაქტიკა?-იკითხავს ზოგიერთი. პასუხის გამცემნი საზოგადოებაში კვლავ მრავლად არიანმიაღწევ, რომ გაგლახონ, ჩაწვები ლოგინში, მოგინახულებს ევროპარლამენტარი და შენს სასთუმელთან შეშფოთდება. ასეთი ანეგდოტური სიტუაცია თუ დიდხანს გაგრძელდა, მოგებული არცერთი მხარე აღარ დარჩება, რადგან ახლა დაწყებული დიდი ქართული პოლიტიკური ორომტრიალი, შესაძლოა, ტრაგედიად გადაიქცეს.

წერილს კი სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ერთ-ერთი სტატუსით დავასრულებ:

„ჯალათი და მსხვერპლი... მახსოვს, ამ თემაზე წინა წლებში უამრავი სადისერტაციო ნაშრომი, ესე თუ წერილი იწერებოდა... ამ თემის მოდელირებას თუ ქართული ლიტერატურის სამყაროდან დავიწყებთ, უპირველესად მიხეილ ჯავახიშვილი მოგვაგონდება, თავისი ბიოგრაფიით, ბავშვობაში გადატანილი ოჯახური ტრაგედიით, მოწამეობრივი აღსასრულით, ''ჯაყოს ხიზნებითა'' და უძლიერესი ფრსიქოლოგიური მოთხრობა ''ეშმაკის ქვით''...ეს დღეებია, სულ დავითობას მომხდარი ამბებით ვართ დაძაბულები და ყველამ შეძლებისდაგვარად გამოვხატეთ ჩვენი პოზიციები: მიშისტური, ღარიბაშვილისტური, შუაშისტური, ნეიტრალისტური, ქართული თუ ანტიქართული, ახლა კი სურვილი გამიჩნდა ჯალათის და მსხვერპლის პარადიგმიდან დავინახო ეს რეალობა: იმ კონფლიქტში, რომელიც მოხდა, ჯალათსა და მსხვერპლს შორის ზღვარი წაშლილია, რადგან იქ ჯალათიც მსხვერპლი იყო და მსხვერპლიც წარმატებით ჯალათობდა... ვინც მხარეებს გმობს და რომელიმე მათგანის ინტერესებს იცავს, ისიც ჯალათია და ისიც მსხვერპლია, რადგან მიუხადავად ზიზღით, ბიღმითა და რისხვით დაბნელებული ჩვენი სულებისა, ჩვენ ერთნი ვართ, ერთნაირნი და ერთი ტანჯული დედის ცოდვილი შვილები... არ უნდა გამოეხატათ პროტესტი ამ სახით, ეს შეცდომა იყო, მესმის ციხეებში მუცელ და მკლავებდასერილი და გაფატრული ადამიანების, მაგრამ ეს ის გზა არაა, რომელიც წარსულის გაჯანსაღებას ხელს შეუწყობს, მესმის ყველასი, მაგრამ მოთმინება გვმართებს, შურისძიება შვებას ვერ მოგვიტანს...

მეც მცემეს და დამაპატიმრეს 2007 წლის 28 ოქტომბერს ზუგდიდში, ჩემი მეუღლე სასიკვდილოდ ცემეს და ტვინის შერყევით კარგა ხანს მკურნალობდა, მერე ჩემი ახლობლები ვიდოეკადრებში მოძალადეთა ამოცნობას, მათი სახელების დამახსოვრებას და მათთვის საკადრისი პასუხის გაცემას მპირდებოდნენ და მე მათ ვეუბნებოდი, რომ არ მაინტერესებდა მათი ვინაობა და არც მახსოვს მათი სახელები, არ მსურდა მათზე შურისძიება, რადგან ნაცემ და ციხეში წათრეულ მაკასავით საცოდავად მიმაჩნდა ყოველი მათგანიც, ჩემთვის ისინი როლანდიზმის, ბაჩოიზმის და მიშიზმის იაფფასიანი იარაღები იყვნენ და საერთოდ არ მაქვს მათდამი შურისძიების განცდა...''ეშმაკის ქვაში'' სათნო და ანგელოსური სულის სოფიო ბრბოს გავლენით მკვლელად იქცა, ქვა აწია და ამას შეეწირა, ეს ყველამ იცოდეს, რომ ლინჩის სამართალს უნდა დავემშვიდობოთ 21—ე საუკუნის საქართველოში, პროტესტი მხოლოდ მშვიდობიანი ფორმებით უნდა გამოიხატოს, პროვოცირება გიგიმ გააკეთა? ვხედავ, რომ გააკეთა, მაგრამ ჩიორას რატომ გაარტყა იმ კაცმა? რა ხეირი ამისგან ან მას, ან სხვას? ჯალათიც მსხვერპლია, ეშმაკის მსხვერპლი და უმჯობესია, ეშმაკს დავეთხოვოთ, უფლისა გავხდეთ... სხვა მეთოდებიც არსებობს რეჟიმთან ბრძოლისა, ცივილიზებული და ადამიანური...

მასალა მოამზადა

ინგა შიოლაშვილმა

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

გაზეთ „შირაქის" №3-ში გამოქვეყნებულ სიგნალს, იმის თაობაზე, რომ ქალაქის ტერიტორიაზე არსებული თავლია საკომუნიკაციო ჭები საფრთხეს უქმნის როგორც ფეხით მოსიარულეებს, ისე ავტომობილებს, საქმით გამოეხმაურა გამგეობის რწმუნებული ქ. დედოფლისწყაროს ტერიტორიულ ორგანოში ბესიკ ცისკარაული.

მან ორგანიზება გაუკეთა შესაბამის სამსახურებს და გაზეთის მიერ მინიშნებულ ალადაშვილის და ჰერეთის ქუჩებზე იმავე დღეს გამოსწორდა მდგომარეობა. იმედია, თუ ქალაქის სხვა ქუჩებზეც არსებობს მსგავსი პრობლემა, დროულად აღმოიფხვრება.

რედაქცია გამოთქვამს კმაყოფილებას იმ ოპერატიულობისთვის, რაც მის მიერ მინიშნებულ სიგნალს მოჰყვა

ნარა გორაშვილი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეებელმა ირაკლი შიოლაშვილმა უნარშეზღუდულებს ინვალიდის ეტლები გადასცა

საერთაშორისო ასოციაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის დედოფლისწყაროსთან ერთად საქველმოქმედო ღონისძიება განახორციელა და მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ათ უნარშეზღუდულ პირს ინვალიდის ეტლები საჩუქრად გადასცა.უნარშეზღუდულებს ოჯახებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი პირადად სტუმრობდა.დარიგების აქციაში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ივანე ნატროშვილი და ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულებიც მონაწილეობდნენ.

საერთაშორისო ასოციაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ამერიკულ საქველმოქმედო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით უკვე მრავალ სოციალურად დაუცველსა და უმწეოს მოუტანა შვება,მათ შორის დედოფლისწყაროშიც.ასოციაციასა და დედოფლისწყაროს გამგეობის მჭიდრო კავშირისა და ურთიერთნდობის საფუძველზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიიტეტში ინვალიდის ეტლების დარიგება კვლავ გაგრძელდება.

PS. ზოგმა ხელი ჩაიქნია და ბედს შეურიგდა.მრავალი მათგანი საზოგადოებისაგან წლობით იზოლირებულია, რადგან საკუთარი ძალებით გადაადგილებას ვერ ახერხებს.მათ ხშირად აკლიათ საზოგადოების სითბო და სიყვარული და მხოლოდ საკუთარი ოჯახის მზრუნველობას იზიარებენ... მონატრებული საუბარი და აღტაცება–ირაკლი შიოლაშვილთან თბილი და გულწრფელი დიალოგის შემდეგ თითოეულ მათგანს გაუჩნდა იმედი და რწმენა იმისა,რომ ყველაფერი კარგად იქნება.

ნაგავსაყრელის გაწმენდითი სამუშაოები დაიწყო



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებულ ერთადერთ ნაგავსაყრელზე, რომელიც მუნიციპალიტეტის ყველა ტერიტორიულ ერთეულს ემსახურება, გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს. პროცესი დედოფლისწყაროს გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა ადგილზე მოინახულა.

გაწმენდით სამუშაოებს შპს ,,სერვისი-2007“-ი აწარმოებს. როგორც კეთილმოწყობის სამსახურის დირექტორმა ელიზბარ ალუღიშვილმა აღნიშნა, ადგილი მრავალი წლის განმავლობაში არ გაწმენდილა, რის გამოც დასუფთავების სამსახურის ავტომანქანებს ტერიტორიაზე შესვლა უჭირთ. ჩაკეტილია ნაგავსაყრელამდე მისასვლელი გზებიც, რადგან ახლომდებარე ადგილებში საყოფაცხოვრებო ნარჩენებს მოსახლეობაც ყრის.

შექმნილი ანტისანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მოქალაქეების უსაფრთხოების მიზნით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობამ ნაგავსაყრელისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა დაიწყო.

ადგილზე მუშაობს მძიმე ტექნიკა, ხდება ჩახერგილი გზების გაწმენდა და მიმობნეული ნაგვის ნაგავსაყრელზე დაყრა.

„დედოფლისწყაროს გამგეობისთვის პრიორიტეტული საკუთარი მოსახლეობის უსაფრთხოებაზე ზრუნვაა და წლების განმავლობაში გადაუჭრელი პრობლემის მოგვარებაც ამ ზრუნვის ნაწილია,“ — განაცხადა ირაკლი შიოლაშვილმა.

სამუშაოები უახლოეს დღეებში დასრულდება.

გამგეობის პრესსამსახური

„ქარვა“ ბრუნდება

(პრველი გვერდიდან)

თუმცა, როცა ისინი ჯერ კიდევ გარკვეული პრობლემების წინაშე დგანან, რაც დამატებითი სამუშაოა ჩვენი ხელისუფლების პირობებში, ამიტომ ჩამოვედით რამდენიმე გადაწყვეტილების მიმღები პირი ერთად, რომ ერთობლივად ვიმუშაოთ ამ პრობლემების მოსაგვარებლად. ჩვენი, ინფრასტრუქტურული კუთხით, ვაკეთებთ სოფლის მხარდამჭერ პროგრამებს, რომელიც გულისხმობს ადგილობრივი ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებას, როგორიც შეიძლება იყოს, ვთქვათ, გზის მონაკვეთების, შიდა წყლის სისტემების მოწესრიგების საკითხები, შედარებით უფრო პატარ-პატარა პროექტები, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების მიერ არ ფინანსდება ადგილებზე. გარდა ამისა, მე გასულ ხუთშაბათს მთავრობის სხდომაზე გავიტანე და დამტკიცდა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის განაწილების წესი, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი თვითმმართველობები მიიღებენ დაფინანსებას სხვადასხვა სახის რეგიონული პროექტების განსახორციელებლად, როგორიც არის გზების, ნაპირსამაგრი სამუშაოების, წყლის მიწოდებისა და სანიაღვრე სისტემების მოწესრიგება, ჯამში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 50 მილიონი ლარი დაიხარჯება ქვეყნის მასშტაბით. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის პირველადი განაწილება იქნება 200 მლნ. ლარი, ანუ, ძალიან სწრაფად ჯამში 250 მილიონი ლარის სამუშაოები დაიწყება ჩვენი კუთხით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, სოფლის მეურნეობის სამინისტრო თავის კუთხით იწყებს გრანდიოზულ პროექტს, ანუ, ჯამში ამ ყველაფერმა გაზაფხულიდან შვება უნდა მისცეს რეგიონებში დასახლებულ ადამიანებს“ - აღნიშნა ნარმანიამ და დედოფლისწყაროში განსახორციელებელ პროექტებსაც შეეხო. მან სოფლის დახმარების პროგრამის არსი კიდევ ერთხელ განმარტა:

„სოფლის მოსახლეობა თვითონ შეარჩევს სოფლის პრიორიტეტებს, მათ ამ პროგრამის ფარგლებში და მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, თითოეული სოფელი პროპორციულად მიიღებს დაფინანსებას. ასევე, დედოფლისწყაროს ადგილობრივი ხელისუფლებიდან უნდა წამოვიდეს წინადადებები რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელ მიმართულებებზე. ჩვენმა სამინისტრომ წესი დაამტკიცა იმიტომ, რომ პროცესები წარიმართოს მოწესრიგებულად“

-განაცხადა დავით ნარმანიამ.

„ქარვას“ გენერალური დირექტორის გიორგი ორაგველიძის განმარტებით, დედოფლისწყაროს ზეთის მწარმოებელ ქარხანაში რესტრუქტურიზაცია მოხდა, შეიცვალა მანქანა-დანადგარები და დაინერგა ახალი, ევროპული ტექნოლოგიები. სამომავლოდ იგეგმება წარმოების გაფართოება და გამოშვებული პროდუქციის ხაზის გაზრდა.

საქართველოს მთავრობის წევრებისა და პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის გიგლა აგულაშვილის შეფასებით, საწარმოს ამუშავება პოზიტიური ნაბიჯია და ის დედოფლისწყაროელი მოსახლეობის დასაქმების პერსპექტივის ზრდას, ადგილობრივი წარმოების წახალისებასა და ქართული ბაზრის სამამულო პროდუქციით გაჯერებას შეუწყობს ხელს.

ინგა შიოლაშვილი

იდეები ბევრი გვაქვს, იმედია, ხელსაც შეგვიწყობენ

მინი დოსიე: ლალი გურასპაული-ზურაშვილი დაიბადა 1958 წლის 6 ივლისს დედოფლისწყაროში. 1975 წელს დაამთავრა სამრეკლოს (სოფელი ჯაფარიძე) საშუალო სკოლა. 1981 წელს კი - თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი. დაბრუნდა მშობლიურ რაიონში, შექმნა ოჯახი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა №3 საშუალო და კერძო სკოლა „ბენაურში" ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებლად. ჰყავს მეუღლე–ნოდარ ზურაშვილი, ორი ვაჟი და სამი შვილიშვილი. 2013 წლის 1 თებერვლიდან დაინიშნა დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად.

სულ რაღაც ორიოდე კვირაა, რაც დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ახალი დირექტორი ჰყავს. მის მინი დოსიეს თქვენ უკვე გაეცანით, მაგრამ ჯერ არ იცით, რომ ის უაღრესად გონებაგახსნილი, მიზანსწრაფული, დისციპლინირებული და ერუდირებული ადამიანია. როგორი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი იქნება, ამას მომავალი აჩვენებს. არის კარგი მეუღლე, კარგი დედა და ბებია, ერთგული მეგობარი. ვფიქრობთ, ეს ყველაფერი ერთად საკმარისია იმისთვის, რომ ეს ადამიანი დადებით პიროვნებად დავახასიათოთ.

1975 წლიდან დაარსდა დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მას ჰქონდა ინტენსიური და ნაყოფერი მუშაობის პერიოდი. ბოლო ორი ათეული წელი, ობიექტირად თუ ვიტყვით, ჩავარდნის წლები იყო - დიდად არავის აინტერესებდა, რა ხდებოდა მუზეუმში, უჭირდათ თუ ულხინდათ, ასრულებდნენ მათზე მინდობილ საქმეს თუ ვერა ან არა. დღეს საქართველოში ახალი ცხოვრების დასაწყისის სიომ დაუბერა, გაჩნდა იმედი უკეთესი მომავლის. მუზეუმელებსაც დაგროვილი მრავალი პრობლემის მოგვარების იმედი გაუჩნდათ. მუზეუმის პრობლემებზე და სამომავლო გეგმებზე ახალი დირექტორი ლალი გურასპაული გვესაუბრება.

- პირველ რიგში არა გვაქვს შესაბამისი პირობები, ჩვენს ხელთ არსებული არცთუ მცირე სამუზეუმო ექსპონატების შენახვისათვის და მოვლისთვის. კედლები დანესტილია, საექპოზიციო დარბაზი მოუწყობელი, არ არის სათანადო ტემპერატურული რეჟიმი, განათება, სტელაჟები და სხვა. ვიზუალურად ძალიან შელახულია საკონფერენციო დარბაზი, ჩამონადენი წყლისგან ჩამორეცხილია ჭერი და კედლები. პირველ რიგში მისი კოსმეტიკური რემონტია საჭირო, რომ ჩვენმა თანამშრომლებმა შეძლონ შესაბამისი სამეცნიერო საქმიანობა განაახლონ და ჩაატარონ კონფერენციები, სხდომები, დისკუსიები, მოიწვიონ სტუმრები. ერთი დიდი პრობლემა, რაც გვაწუხებს, ის არის, რომ ეზო ღია და ნაგავსაყრელადაა გადაქცეული. ჩვენი დიდი სურვილია, შენობის ეს მიმდებარე ტერიტორია შემოიღობოს, რათა დაცული იყოს. გვინდა, იქ ღია ეთნოგრაფიული კუთხე მოვაწყოთ, რაც მუზეუმის არსებულ ექსპონატებთან ერთად დამთვარიერებლის დიდ ინტერესს გამოიწვევს. ჩვენ უკვე შევქმენით „ მეგობართა კავშირები" სკოლებში, რაც ხელს შეგვიწყობს სკოლის მოსწავლეებში ავამაღლოთ ჩვენი ქვეყნის, კუთხის და რაიონის ისტორიის ცოდნა, რითაც გავაღვიძებთ პატრიტულ გრძნობას ერისა და სამშობლოს მიმართ. პირველ რიგში დავიწყებთ ჩვენი ფონდის აღწერას და პასპორტიზაციას. ამ საქმისთვის საიმედო კადრია ჩვენთვის ქალბატონი ლალი ბასილაშვილი, რომელიც მუზეუმის დაარსების დღიდან აქ მუშაობს, თითქმის ყველა ნივთი მის ხელშია გავლილი, რადგან ის ათეული წლების განმავლობაში გახლდათ ფონდების მთავარი მცველი. მადლობა მას, ასეთი ერთგული სამსახურისთვის. სასურველი იქნება, თუ გვექნება საშუალება და შევიძენთ კომპიუტერს, რათა ერთიან ბაზაში შევიტანოთ ჩვენი „ავლადიდება". ვგეგმავთ შეხვედრებს მხატვრებთან, მწერლებთან, გვინდა კავშირი დავამყაროთ „კავკასიურ სახლთან". მისი თავმჯდომარე ქალბატონი ნაირა გელაშვილი უაღრესად განსწავლული და ქვეყნის დიდი პატრიოტია. მისგან ბევრი კონსულტაციის და რჩევის მიღება შეიძლება. ისიც ხომ ქიზიყელია და კარგად იცის ჩვენი კუთხის ცხოვრება, ისტორია, ტრადიციები. ერთი სიტყვით, სამუშაო ძალიან ბევრია, პრობლემების მოგვარებასაც სერიოზული ხარჯები სჭირდება, რაც, რა თქმა უნდა, ერთბაშად არ მოხერხდება, მაგრამ იმედი გვაქვს, რაიონის ხელმძღვანელობა, კულტურის სამსახური ყურადღებას არ მოგვაკლებს შეძლებისადაგვარად.

ჩვენ კი, ჩვენის მხრიდან ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჩვენი მუშაობა იყოს მრავალფეროვანი, სამეცნიერო ძიებებისა და საკონფერენციო თემების დამუშავებასთან ერთად გავშლით მოძიებით სამუშაოებს, გასვლით ექპედიციებს და სხვა. გვინდა, მუზეუმი იყოს რაიონში ერთერთი საიმედო კულტურული ცენტრი, სადაც ნებისმიერ ინტელექტუალს შეეძლება მოვიდეს, მიიღოს სიამოვნება, გაგვიზიაროს თავისი აზრი, შემოგვთავაზოს იდეა, - ამბობს ქალბატონი ლალი.

ის, რაც ამ მოკლე ხანში მუზეუმში გაკეთდა, ახალგაზრდა თვითნასწავლი მხატვრის ბელა ლობჯანიძის პერსონალური გამოფენა გახლავთ, რომლის შესახებაც წინა ნომერში დავაანონსეთ და დღეს ქვემოთ მოგიყვებით.

მხატვრად უნდა დაიბადო...

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვაანონსებდით, 7 თებერვალს დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიხსნა თვითნასწავლი მხატვრის ბელა ლობჯანიძის გამოფენა, რომელიც თვის ბოლომდე გაგრძელდება. გამოფენის გახსნას უამრავი სტუმარი ესწრებოდა - ძველგაზრდებიც და ახალგაზრდებიც, პროფესიონალებიც და დილეტანტებიც. გაოცება, აღტაცება და მოწონება კი ყველამ ერთხმად გამოხატა. გამოფენის გახსნას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, საკრებულოს და გამგეობის თანამშრომლებიც ესწრებოდნენ.

გამოფენა გახსნა მხარეთმცოდნეობის მუზემის სპეციალისტმა ნინო პოპიაშვილმა.

- დღევანდელი გამოფენა ეძღვნება დიდი გენიოსის, თვითნასწავლი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის დაბადების 150 წლისთავს, რომლის საუბილეო თარიღის გამო კულტურის სამინისტრომ ეს წელი ფიროსმანის წლად გამოაცხადა, იმ ნიკო ფიროსმანისა, რომელიც სიცოცხლეში ვერ დავაფასეთ, კაცისა, რომელიც შემოქმედებით წვაში ისე დაიფერფლა, რომ მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ლეგენდებისა და ვერსიების გარდა აღარაფერი შემოგვრჩა. დღეს მისი საფლავიც კი უცნობია შთამომავლობისთვის. ძნელია, დაასახელო მეორე შემოქმედი, რომელიც ცხოვრებამ ისე დატანჯა, როგორც ნიკალა - უსახლკარობა, შიმშილი, დამცირება, მოჯამაგირეობა, კონდუქტორის გზას გამოკიდებული ულიმღამო ცხოვრება, დახლში დგომა, ქალაქური ორომტრიალი და მშობლიური მირზაანის მწველი მონატრება, უიღბლო სიყვარული... და მაინც ყველაფრის მიუხედავად სულში ჩაკირული ფუნჯის სიყვარული, ფერთა განუმეორებლობა და დუქნის კედლებზე მომრავლებული შედევრები. ორიათასამდე ტილო დახატა ნიკო ფიროსმანაშვილმა და სამწახაროა, რომ მათგან დღეისთვის მხოლოდ ორასიოდე დედანია გადარჩენილი. სწორეს ასეთ შემთხვევაზე უთქვამს ხალხს სანამ გვაქვს არ ვაფასებთ, დავკარგავთ და მივტირითო. სწორედ ამ თარიღს ეძღვნება დღევანდელი პერსონალური გამოფენაც და თითქოს სიმბოლურია, რომ სწორედ ფიროსმანის ნაფუძვარზე, მირზაანში აღმოცენდა ახალგაზრდა თვითნასწავლი მხატვარი გოგონა ბელა ლობჯანიძე. საკურველია, მწარე გამოცდილებიდან ვისწავლოთ, რომ სიცოცხლეშივე დავინახოთ, დავაფასოთ და ხელი შევუწყოთ ნიჭიერებას, - თქვა მან და ესტაფეტა თამარ ლობჯანიძეს გადასცა, რომელმაც სიტყვაკაზმულად, გულწრფელობის და ემოციის თანხლებით წარმოგვიდგინა ახალგაზრდა მხატვრის ბიოგრაფია, მისი სულიერი სამყარო, აწმყო და მომავალი.

„შემოქმედება ხალხისაა და ნებაც მათია, რასაც ხედავენ, ის თქვან. მე მათთვის ვხატავ და თუ ვინმეს ჩემი ნახატები სიამოვნებას მიანიჭებს, ამითაც ბედნიერი ვიქნები.

ბელა ლობჯანიძე

ბელა ლობჯანიძე 24 წლისაა. ის დაიბადა 1988 წლის 1 ივლისს სოფელ მირზაანში ბიძინა ლობჯანიძის და მედეა გავაშელის ოჯახში. რიგით მეორე ქალიშვილია, საერთოდ კი სამი მშვენიერი გოგონა გაიზარდა ამ კერაზე. შემოქმედებითი ხედვა და ალღო პატარაობიდანვე დაჰყვა. იქნებ ბებიის ლეილა (ლელიკა) ლობჯანიძის გენი დაჰყვა. ის ხომ უფროსი თაობისთვის კარგად ცნობილი საუკეთესო მკერავი ქალია, ახლა შელამაზებულად დიზაინერებს რომ ვეძახით, ვაფასებთ და ფართო ასპარეზსაც ვუთმობთ. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, ფაქტი ერთია, ბელა უთუოდ ნიჭიერი ახალგაზრდაა და დიდი მომავალიც აქვს, მერვე კლასამდე მირზაანში სწავლობდა, მერე თბილისის №219 სკოლაში. ოჯახში ყველა თავისებურად შემოქმედია, მათ შორის დიდი სითბო, ურთიერთზრუნვა და ჰარმონიაა, დღეს რომ ასე სჭირდება ოჯახების უმრავლესობას.

- ბელას ბავშვობაში ხშირად მოჰქონდა სკოლიდან პასტით დასვრილი მუხლის თავები, მასწავლებლებს რომ არ ენახათ, მეგობრების შეკვეთებს ფეხებზე იხატავდა, რისთვისაც ხშირად ვტუქსავდით. მერე კარგა ხანს თავი დაანება ყოველგვარ ხატვას. 19 წლის იყო, ფერადი სიზმრების ხილვა რომ დამეწყო-ვითომ ჩვენი ზალის ოთახი თანდათან ლამაზ-ლამაზი დიდი სურათებით ივსებოდა. ამით გათამამებულმა რაიმეს დახატვა ვთხოვე. გოგონა დახატა და მწვანედ შელება. ვერ ახსნა, რატომ გააკეთა ეს. მერე უმცროსმა ქალიშვილმა მარიამმა, როცა პრომეთეს კითხულობდა, სთხოვა, სცადე, იქნებ დახატოო. იყოყმანა, კარგა ხანს იფიქრა და... დახატა, მას მერე გაიხსნა და თქვენც ხედავთ, სულ 4-5 წელში შექმნა ათეულობით ტილო,- მიყვება ბელას დედა ქალბატონი მედეა.

- პრომეთე რომ დავხატე, მაშინ გამიჩნდა დაუოკებელი სურვილი ხატვის. ჩემთვის ადამიანია პირველი თავისი შინაგანი ბუნებით, ემოციით, განწყობით. როცა შევიცნობ მის სამყაროს, ერთი ამოსუნთქვით ვხატავ. მაგალითად, ნიკო გომელაური მისი ლექსებით „გავიცანი", გადმოვეცი მისი სულიერი მდგომარეობა მძიმე ავადმყოფობის ჟამს, სიკვდილზე და ცხოვრების წამიერობაზე დაფიქრებულს მუხლზე წიგნი იმიტომ დავუდე, რომ შთამომავლობისთვის მეთქვა, მან თქვენ დიდი სულიერება დაგიტოვათ თავისი შემოქმედების სახით.

(დასასრული გვ. 8)

„ქოჩების ტბის“ პროექტი რეალურად არ არსებობდა

(პირველი გვერდიდან)

სწორედ ამ ფონდში მოვიკითხე, რომ რა მაკეტიც წარმოადგინეს, რა ეტაპზეა ეს პროექტი. მის საქმიანობას ფინანსური პოლიცია იკვლევდა და საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლები დედოფლისწყაროშიც იყვნენ ჩამოსულები. ფონდში მითხრეს, რომ პროექტი არ არსებობდა. შესაბამისად, ეს იყო პიარი. ვერ გეტყვით, შემდეგში მართლაც აპირებდნენ და ნაადრევად მოხდა მისი პიარი, თუ არც აპირებდნენ და წინასაარჩევნო ფანდი იყო. ჩვენ ერთი შეგვიძლია ვთქვათ, რასაც დედოფლისწყაროელებს დავპირდებით, აუცილებლად შევასრულებთ. შესაძლოა, სხვაზე ცოტა დავპირდეთ, მაგრამ ამას აუცილებლად შევასრულებთ. რადგან პროექტი არ არსებობდა, ჩვენ არ ვაპირებთ ხელი ჩავიქნიოთ, პირიქით, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მისი აღდგენისთვის. დარწმუნებული ვარ, ეს ტბა იქნება ისეთი, როგორც დედოფლისწყაროს ეკადრება და პირველ რიგში ადგილობრივებისთვის იქნება ხელმისაწვდომი. როცა ახალგაზრდა ვიყავი, მაშინაც ვხედავდი, რომ ახალგაზრდობისთვის ერთ-ერთი ძირითადი გასართობი და თავშეყრის ადგილი სწორედ ეს ტბა იყო. გახსოვთ, ალბათ, მაშინ, როცა დედოფლისწყაროს საკრებულოს წევრი ვიყავი, ყოველთვის იმას ვითხოვდი, რომ დასუფთავების აქციები მოწყობილიყო და ტბის მოვლა-პატრონობაზე გვეზრუნა, რათა ადგილობრივებს კომფორტულად ეგრძნოთ თავი. ცხადია, მაშინაც ვფიქრობდი და ახლაც ვფიქრობ მის განვითარებაზე,“ - აცხადებს დედოფლისწყაროს გამგებელი.

სად გაქრა 24 145 ლარი, რატომ არ არსებობს რეაბილიტაციის პროექტი და ვის დააკავებენ „ქოჩების ტბის“ საქმეზე

გამგებელი ამბობს, რომ პროექტი არ არსებობს, თუმცა სააგენტოს ხელმძღვანელი ირწმუნება, რომ პროექტი სპეციალურად შეაჩერა, რადგან რეაბილიტაციის გაგრძელების საშუალებები სიბაშვილმა ვეღარ დაინახა.

მის მიმართ გაჟღერებულ ბრალდებებს პასუხობს გიორგი სიბაშვილიც. ის დედოფლისწყაროს ტბის რეაბილიტაციის თემასაც ეხება:

„მუნიციპალიტეტებიდან წამოსული მოთხოვნების საფუძველზე კომპანიებთან ფორმდებოდა კონტრაქტები. დიახ, დედოფლისწყაროს „ქოჩების ტბის“ რეაბილიტაციის პროექტი მე შევაჩერე, რადგან მისი გაგრძელების საშუალება ვერ დავინახე, ამაზე სხვა არაფერი ვიცი,“ - აღნიშნა სიბაშვილმა.

მან გამოძიებას ნებაყოფლობით გადასცა მის ელექტრონულ ბაზაში არსებული, საქმესთან დაკავშირებული 985 ფაილი, რაც პროკურორმაც დაადასტურა, თუმცა აღნიშნა, რომ ეს დოკუმენტები სიბაშვილმა გამოძიებას მოგვიანებით გადასცა, მანამდე კი შეეძლო მათი ნაწილი გაენადგურებინა ან შეეცვალა. ამასთან, „ქოჩების ტბასთან“ დაკავშირებით ბრალდებულმა განაცხადა, რომ მან თანხის გაფლანგვის ნაცვლად, პროექტის განსახორციელებლად განკუთვნილი თანხა ბიუჯეტში დააბრუნა.

„ქოჩების ტბასთან“ დაკავშირებით, როდესაც მივხვდი, რომ ამ პროექტის განხორციელებას პერსპექტივა აღარ ჰქონდა, მოვითხოვე, რომ თანხა უკან გადარიცხულიყო ბიუჯეტში და სწორედ ჩემი დამსახურებაა, რომ ფული უკან გადაირიცხა,“ - აღნიშნა გიორგი სიბაშვილმა.

კახეთის გუბერნატორის ყოფილ მოადგილე გიორგი სიბაშვილს, აღკვეთის ღონისძიების სახით, 15 ათასი ლარის ოდენობის გირაო შეეფარდა. სიბაშვილი თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს. სიბაშვილმა სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგაც ისაუბრა ჟურნალისტებთან:

„ბრალდების მხარის შუამდგომლობა იყო დაუსაბუთებელი, უკანონო. თუმცა, სასამართლომ ჩემი პოზიცია ნაწილობრივ გაითვალისწინა და გირაო შემიფარდა, რასაც ვასაჩივრებ. არცერთ ეპიზოდში თავს დამნაშავედ არ ვცნობ, ბრალდება არის ძალიან სუსტი. მალე გახდება თქვენთვისაც ცნობილი შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც აბსოლუტურად დაადასტურებს ჩემს უდანაშაულობას ამ საკითხში,“ - განაცხადა გიორგი სიბაშვილმა.



ასევე სკანდალურ განცხადებებს აკეთებს „ქოჩების ტბის“ მიმდებარე ტერიტორიების მფლობელი ლია შარმაზანაშვილი. როგორც შარმაზანაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, სარეაბილიტაციო სამუშაოები მის კუთვნილ ტერიტორიაზე ისე დაიწყეს, არც ქონება ჩამოურთმევია ვინმეს და არც მისთვის უკითხავთ რაიმე.



მეპატრონე ამბობს, რომ ტერიტორიაზე არსებული შენობა დაანგრიეს, მშენებლობაში მისი აგური გამოიყენეს, რეალურად კი გაწერეს, რომ სამშენებლო მასალები შეიძინეს. ამასთან, შარმაზანაშვილი კიდევ ერთ სკანდალურ განცხადებას აკეთებს და ამბობს, რომ რეაბილიტაციაზე დასაქმებული მუშები ხელფასს არ იღებდნენ და რაიონის საკეთილდღეოდ უფასოდ მუშაობდნენ. მისი თქმით, შესაძლოა სიბაშვილმა ეს თანხებიც გაწერა, რაც რეალურად მუშებზე არ გაცემულა. შარმაზანაშვილის განმარტებით, მას შემდეგ, რაც დედოფლისწყაროში წინასაარჩევნო ვიზიტის შემდეგ პრეზიდენტის ვერტმფრენი ტბის მიმდებარე ტერიტორიიდან გაფრინდა, პროცესი მას შემდეგ შეჩერდა და მუშებიც მას შემდეგ აღარავის უნახავს. ტბის ტერიტორიის მფლობელი ლია შარმაზანაშვილი უახლოეს დღეებში სკანდალური დეტალების გახმოვანებას გეგმავს.

საქმის არსებითი განხილვა თელავის რაიონულ სასამართლოში 22 მარტს, 14:00 საათზე ჩაინიშნა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ქოჩების ტბის“ მიმდებარე ტეიტორიაზე მოეწყობოდა კაფე, პლაჟი, სპორტული ზონა — მინი ფეხბურთის, კალათბურთის და ბავშვთა სათამაშო მოედნები.

ასევე, სავარჯიშო ტრენაჟორები, გასახდელები და საშხაპეები, ასევე სათევზაო ზონა და ფაცხები ღამის გასათევად. ასევე, ტბის მიმდებარე ტყეში იგეგმებოდა საპიკნიკე ზონისა და ავტოსადგომის მოწყობაც. ამასთან, ხელისუფლება ირწმუნებოდა, რომ რეაბილიტირებულ „ქოჩების ტბაზე“ ნებისმიერი მსურველისთვის შესვლა უფასო იქნებოდა.

გასული წლის ოქტომბერში, ხელისუფლების ცვლილების ფონზე გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა გაერკვია, ხომ არ დადგებოდა ტბის რეაბილიტაციის საკითხი ეჭვქვეშ. ამ კითხვით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დედოფლისწყაროს მაჟორიტარ დეპუტატს და პროექტის ერთ-ერთ ინიციატორს ზაზა კედელაშვილს მივმართეთ. კედელაშვილი არჩევნების შემდეგ მიიჩნევდა, რომ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ამ პროექტის გაგრძელების პრობლემა არ შეიქმნებოდა.

ილია მარტყოფლიშვილი

არა ძალადობას!

უკვე რამდენიმე წელია, ჩვენს ქვეყანაში ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი ჩამოყალიბდა, ეს გახლავთ ორგანიზაცია, რომელიც გმობს ყველა სახის ძალადობას. 14 თებერვალს მსოფლიოში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ არაერთი ადამიანი გამოვიდა და დაგმო ის. სამწუხაროა, რომ XXI საუკუნეში კვლავ გვიწევს საუბრები და აქციები, რომ ქალის მიმართ ძალადობა დაუშვებელია.

ქალთა მიმართ ძალადობას გაემიჯნენ დედოფლისწყაროს მოსწავლეებიც, რომლებმაც ქალის მიმართ ძალადობა 14 თებერვალს აქციითა და ქალაქში მსვლელობით გაპროტესტეს. ღონისძიების ორგანიზატორი და ინიციატორი გახლდათ ქ.დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მეათე კლასის წარჩინებული მოსწავლე ნინო სეფიაშვილი. აქციაში მონაწილეობას ღებულობდნენ ქალაქ დედოფლისწყაროს პირველი, მეორე და ხორნაბუჯის საჯარო სკოლების მოსწავლეები.მათ პირველი საჯარო სკოლის ეზოდან ტრანსპარანტებით ხელში მსვლელობა მოაწყეს დედოფლისწყაროს ცენტრში არსებულ შადრევნამდე. ღონისძიებას შემოუერთდა მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი, სკოლის დირექტორი მაია ლაპიაშვილი და პედაგოგი ნინო ფიროსმანაშვილი. აქციის მონაწილეების მიწვევა მიიღეს ასევე პოლიციის თანამშრომლებმა და ღონისძიების მანძილზე მოსწავლეებს პოლიციის სამი ეკიპაჟი ემსახურებოდა.

- „ჩემთვის ნებისმიერ ადამიანზე ძალადობა მიუღებელი და დასაგმობია. ყველა ადამიანი დამოუკიდებელია და აქვს საკუთარი არჩევანის უფლება. თუმცა, დღეს ძალადობრივი კონფლიქტები სამწუხაროდ მსოფლიო პრობლემაა, განსაკუთრებით ხშირია ქალთა მიმართ ძალადობა. 14 თებერვალს, ქალთა მიმართ ძალადობის საწინააღმდეგო საერთაშორისო დღეა, რომლის არსებობის შესახებაც სულ ცოტა ხნის წინ, ჩემი ამერიკელი მენტორის საშუალებით შევიტყე. სწორედ მაშინ გამიჩნდა სურვილი, რომ დედოფლისწყაროც შეერთებოდა ამ აქციას და საკუთარი სათქმელი ეთქვა ადგილობრივი მოსახლეობისა და მსოფლიოსათვის, რაც, ვფიქრობ, გამოგვივიდა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც შემოუერთდა ჩვენს მსვლელობას და დამეხმარა ამ აქციის ორგანიზებაში,პედაგოგებს: კახა კოტაშვილს, ნინო ფიროსმანაშვილს, დირექტორს მაია ლაპიაშვილს და ჩემს მეგობრებს, რომლებიც მაქსიმალურად დაიხარჯნენ იმისათვის, რომ ყველაფერი წესრიგში ყოფილიყო. უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ასევე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს ირაკლი შიოლაშვილს და დედოფლისწყაროს პოლიციას, იმისთვის, რომ მიიღეს ჩვენი მოწვევა და აქციის მსვლელობის დროს შემოგვიერთდნენ.“- აღნიშნა ჩვენთან საუბარში აქციის ორგანიზატორმა ნინო სეფიაშვილმა.

14 თებერვალს აქცია გაიმართა ასევე თბილისში. რუსთაველის გამზირზე ქალთა ფონდმა - “ჭომენ'ს ღიგჰტს - Aრტ ინ Aცტიონ” გამართა აქცია , რომლის მიზანია ქალთა საკითხებისადმი საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ქუჩის პერფორმანსი “მილიარდი ამბოხებული” იმ ღონისძიებების დასაწყისი იყო, რომელსაც მთელი თვის განმავლობაში ორგანიზაცია “იდენტობა” გეგმავდა. კამპანიის სლოგანი გახლდათ- მილიარდი ქალის ცეკვა უკვე რევოლუციაა! აქციის მონაწილეები მილიონობით ქალს მოუწოდებდნენ, გამოსულიყვნენ სახლებიდან, სამსახურებიდან და გაერთიანებულიყვნენ იმისთვის, რომ ეცეკვათ და ერთიანი ძალის დემონსტრირებით გამოეხატათ პროტესტი ძალადობის წინააღმდეგ და გენდერული თანასწორობის აღსადგენად.

ლალი მეხრიშვილი.

კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობა- შეხვედრა აქტუალურ თემაზე

11 თებერვალს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში ჩატარდა CENN-ის (კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი) წარმომადგენლების შეხვედრა ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებთან და ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებთან. შეხვედრაში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი, თავმჯდომრის მოადგილე ვეფხია ნატროშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები: აკაკი ნატროშვილი, გივი გიგაური, ნიკოლოზ ხუციშვილი, საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები, გამგეობის სამსახურების და განყოფილების უფროსები, გარემოსდაცვითი ასოციაციების ხელმძღვანელები, პრესის წარმომადგენლები.

სოფლის მეურნეობის ექსპერტმა, პროფესორმა კობა კობალაძემ შეხვედრის მონაწილეებს გააცნო დედოფლისწყაროში განხორციელებული და მიმდინარე საპილოტე პროექტების ფარგლებში განხორციელებული კვლევების და პრაქტიკული საქმიანობის შედეგად შემუშავებული შემაჯამებელი დოკუმენტი -„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის აღწერა და კლიმატის ცვლილების შესაძლებელი გავლენა“. მან მიმოიხილა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კლიმატის ცვლილების ფონზე, სოფლის მეურნეობის მხრივ არსებული სიტუაცია და ბუნებრივი რესურსების ათვისების თვალსაზრისით, სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის პერსპექტივები. საუბარი შეეხო სოფელ სამთაწყაროში მიმდინარე CENN-ის საპილოტე პროექტის ,,ძლიერი სოფელი - მოქნილი მმართველობა“ - ფარგლებში დაგეგმილ საქმიანობებს, წვეთოვანი რწყვის , მულჩირების, ელექტრომწყემსის, მოუხნავად თესვის, ტენშემანარჩუნებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და სხვადასხვა თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობას.

ასევე, აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საჭიროა გრუნტის წყლების, ჭაბურღილების გამოყენება და ახლების მოწყობა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სარწყავად და პირუტყვის დასარწყულებლად, ცხვრის გადასარეკ ტრასებზე მოსასვენებლების, საჩრდილობლების, გასაბანებლების მოწყობა, საძოვრების მდგრადი მართვის გეგმის შემუშავება, გვალვაგამძლე კულტურებისა და ჯიშების გამოცდა-გამოვლენა, მზის და ალტერნატიული ენერგიების გამოყენება, ტყეების, ქარსაცავების აღდგენა-გაშენება, ეფექტური მიკროორგანიზმების გამოყენება ღია გრუნტში და სხვა. ნაჩვენები იქნა ვიდეოფილმები და სარეკლამო რგოლები.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული CENN-ის რეგიონული პროექტის „მიწის რესურსების მდგრადი მართვა ნიადაგის დეგრადაციის შემცირებისა და სიღარიბის დაძლევისათვის სამხრეთ კავკასიის რეგიონში“- ფარგლებში კახეთში განხორციელებული საპილოტე პროექტების პრეზენტაცია გააკეთა ანა ბენაშვილმა, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში; პრეზენტაცია ეხებოდა წვეთოვანი რწყვის ტექნოლოგიის დემონსტრირებას ღია გრუნტსა და მცირე სასათბურე მეურნეობებში, ელექტრომწყემსის გამოყენებას მრავალწლიანი კულტურების (ესპარცეტი) ნათესების დასაცავად, კალიფორნიული წითელი ჭიაყელების ფერმის საშუალებით ბიოჰუმუსის მიღების ტექნოლოგიას.

შპს „აგროინდუსტრია+“-ის დირექტორმა მალხაზ ბაბუნაშვილმა ისაუბრა წვეთოვანი სარწყავი სისტემის უპირატესობებზე, მისი მონტაჟის და ექსპლუატაციის საკითხებზე, წარმოდგენილ იქნა წვეთოვანი სარწყავი სისტემის კომპლექტი და პრაქტიკულად გააცნოთ მისი აწყობისა და მონტაჟის სპეციფიკა, ნაჩვენები იქნა შესაბამისი ვიდეომასალა.

ბოლოს, შეხვედრა დიალოგის რეჟიმში გაგრძელდა და შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთისგან მიიღეს საჭირო ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე.

მეორე საჯარო სკოლამ მკლავჭიდში შიდა სასკოლო ტურნირი გამართა

2013 წლის 11 თებერვალს, მე-2 საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლის გიორგი ლაპიაშვილის თაოსნობით, მოეწყო სკოლის შიდა სპორტული ღონისძიება-შეჯიბრი მკლავჭიდში. შეჯიბრში მონაწილეობა მიიღეს მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლე ბიჭებმა წონითი კატეგორიების მიხედვით, რომლებმაც მართლაც გამოიჩინეს თავი, როგორც არაერთი სპორტული შეჯიბრის დროს. გამოვლინდნენ გამარჯვებულები:გიორგი ლაპიაშვილი და ნუკრი ნადირაშვილი, რომლებიც გახდნენ პირველი ადგილის მფლობელები, ხოლო მეორე ადგილზე გავიდნენ ლევან გივიშვილი და გიორგი პოპიაშვილი.

სკოლა დიდ მადლობას უხდის დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორს ნინო ბახუტაშვილს, რომლის დახმარებით შეძლეს დარბაზის ტექნიკური აღჭურვა.

-„გარდა იმისა, რომ სკოლა აძლევს მოზარდს ცოდნას, უნდა ზრუნავდეს მის პიროვნებად ჩამოყალიბებაზე. ჩვენ გვაქვს დიდი სურვილი, თითოეულ ბავშვს გავუძლიეროთ იმის შეგნება, რომ ის მოსწავლის გარდა, სხვა ფუნქციის მატარებელია.მას უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ მის მიერ შემოთავაზებულ ინიციატივას სკოლის დირექტორის და პედაგოგების დახმარებით მოიყვანს სისრულეში. ჩვენი დირექტორი ქალბატონი ია ლაპიაშვილი ამის საუკეთესო მაგალითია. იგი არის პიროვნება, რომელიც ყოველ მოსწავლეს, მიუხედავად მისი აკადემიური მოსწრებისა, უღვივებს შეგნებას, რომ ის სრულყოფილი პიროვნებაა და მისი შემოთავაზებული იდეა ყოველთვის იქნება განხორციელებული“- აღნიშნავს ჩვენთან საუბარში სკოლის ორგანიზატორი მაია კეტეციანი.

ქალბატონი მაია მეორე სკოლის მოსწავლის გიორგი ლაპიაშვილის სახელით რაიონის სკოლებს სპორტულ გამოწვევას სთავაზობს. მათ სურვილი აქვთ, რომ ყველა სკოლაში ჩატარდეს შიდა სასკოლო ტურნირი მკლავჭიდში, რასაც შემდეგ რაიონული მასშტაბით სკოლების ტურნირი მოყვება, სადაც ამ მხრივ გამარჯვებულ მოსწავლეებს შეახვედრებენ ერთმანეთს. ვფიქრობთ, რომ სკოლებში სპორტული ღონისძიებები ჯანსაღი თაობის აღზრდას ემსახურება, ამიტომ, ყველა სკოლას ვთხოვთ, გაიზიაროს მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეთა ინიციატივა და გამოეხმაუროს მათ.

ლალი მეხრიშვილი

ჭიდაობა და კიდევ უფრო მეტი...

დავით გონაშვილი უთქმელი კაცია. ჭორივემ „ვიწვალეთ“ რამე რომ მეთქმევინებინა - თავის დამსახურებაზე, ქველმოქმედებაზე, რომელსაც გადმოცემით ვიცი, რომ ეწევა. მარტო ის მითხრა, ჩემი პატარა მოჭიდავეები, ჩემივე ხარჯით დამყავს შეჯიბრებებზეო. საერთოდაც, ხალისით მხოლოდ ჭიდაობაზე საუბრობს.

1980 წელს 18 წლის დათო გონაშვილი კრასნოიარსკში წასულა. იქ გურჯაანელი დიმიტრი მინდიაშვილი ეგულებოდა, თავისუფალ ჭიდაობაში მაშინდელ საბჭოთა კავშირში და მსოფლიოში ცნობილი და განთქმული ქართველი სპეციალისტი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ივანე იარიგინის აღმზრდელი. -ეს ის დროა, - მიყვება დათო, - როცა ჩვენთან ლევან თედიაშვილის ვარსკვლავი ამობრწყინდა. ეს ორი დიდი ტალანტი, რუსი იარიგინი და ქართველი თედიაშვილი ერთ დროს, ერთ ეპოქაში მოღვაწეობდნენ, ხალიჩაზეც შეხვედრიან ერთმანეთს. ერთხელ თედიაშვილმა მოიგო, ერთხელაც - იარიგინმა.

- კრასნოიარსკში მოვიხადე სავალდებულო სამხედრო სამსახური, იქვე დავამთავრე ფიზკულტურის ტექნიკუმი, გავხდი სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში. 80-იანი წლების ბოლოს მინდიაშვილმა, რომლის ავტორიტეტი ყოფილი საბჭოთა კავშირის ჭიდაობის წრეებში განუზომელი იყო, მთხოვა, საქრთველოში თავისუფალი ჭიდაობა გვინდა ავაღორძინოთ, მოდი ამ საქმეს მიხედეო. ჩამოვედი და მის მშობლიურ გურჯაანში თავისუფალი ჭიდაობის სექცია ჩამოვაყალიბე. დღეისათვის ცნობილი ოლიმპიური ჩემპიონი რევაზ მინდორაშვილი სწორედ ჩემს სექციაში ვარჯიშობდა. თავიდანვე დიდი მონაცემებით გამოირჩეოდა, თავის ასაკობრივ ბავშვთა გუნდში მაშინვე გახდა საქართველოს ჩემპიონი.

მერე, 90-იანი წლების კრიზისი დაიწყო, ჭიდაობისათვის აღარავის ეცალა, გამიჭირდა დედოფლისწყაროდან გურჯაანში სიარული, არც იქაური ბავშვების დატოვება მეთმობოდა. საბოლოოდ დედოფლისწყაროში დაბრუნდი და აქ ჩამოვაყალიბე ჭიდაობის სექცია. დღემდე ამ საქმიანობით ვარ დაკავებული, მიყვარს ეს საქმე. ვცდილობ პოპულარიზაცია გავუწიო სპორტს, ცხოვრების ჯანსაღ წესს. ჩემს ბავშვებს არანაირ გადასახადს არ ვახდევინებ, ოღონდ ივარჯიშონ, ოღონდ წარმატებულნი იყვნენ. მყავს ბავშვთა ორი ასაკობრივი ჯგუფი, საქართველოს პრიზიორები, ჩემპიონები.

- ბატონო დავით, მაინც რა გამოგვარჩევს ქართველებს სპორტის ამ სახეობაში?

- ბუნებრივი ფიზიკური ძალა, - ოდითგანვე ასე იყო. ამ სფეროში ნიჭიერები ვართ. მოდის ბავშვი სექციაში, ძალიან მალე ეუფლება ილეთებს, იხვეწება, ოსტატდება. ამასობაში 16 - 17 წლის ხდება, მწვრთნელი ეცვლება, გარემო ეცვლება და რატომღაც მისი წინსვლა ფერხდება. ახალი მწვრთნელებია საჭირო, ახალი ხალხი, ახალი მიდგომები. ჭიდაობაში ქართველებივით ნიჭიერი და ბუნებრივი ფიზიკური ძალით დაჯილდოებული ბავშვები მსოფლიოში არსადაა. ამის გათვალისწინებით, საერთაშორისო ასპარეზზე მიღწევები აშკარად არაპროპორციულია.

- იქნებ სისტემური ცვლილებებია საჭირო?

- ამჟამად კლუბურ სისტემაზე გადავდივართ. კახეთში 5 გუნდი ჩამოყალიბდა: საგარეჯო, ყვარელი, ახმეტა, გურჯაანი, დედოფლისწყარო. თუ აქამდე, ბავშვები ოფიციალური შეჯიბრების რანგში საქართველოს პირველობაზე წელიწადში ერთხელ ხვდებოდნენ ერთმანეთს, ახლა, ასეთი სპორტული შეხვედრები გახშირდება, საჭიდაო პრაქტიკა, გამოცდილება მოიმატებს. შესაბამისად ამაღლდება პატარა მოჭიდავეთა საჭიდაო დონე, დაიხვეწება ოსტატობა. ამ ძალზე დროული და საჭირო ცვლილების მოთავე, ჭიდაობის ფედერაციასთან ერთად, თამაზ კონჭოშვილი გახლავთ, კახეთის ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელი. ადგილობრივი ხელისუფლებაც გვერდში გვიდგას, მოკლედ, ყველა პირობაა, რომ დედოფლისწყაროში თავისუფალი ჭიდაობა კიდევ უფრო პოპულარული გახდეს.

ჩვენი საუბარი 7 თებერვალს შედგა, ხოლო მეორე დღეს, 8 თებერვალს, დედოფლისწყაროს სპორტულ კომპლექსში გაიმართა თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს გუნდური ჩემპიონატის მორიგი ტური: დედოფლისწყარო - ყვარელი. შეხვედრას ესწრებოდა დედოფლისწყაროს გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი, მისი მოადგილეები: აკაკი ნატროშვილი, ნუკრი ხუციშვილი, კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორი ნინო ბახუტაშვილი.

გუნდური სისტემით გამოვლენილი გამარჯვებული გუნდი ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) ეგიდით მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ჩემპიონატში. „ყველა გუნდი მიწინააღმდეგეებთან ორ-ორ შეხვედრას მართავს, - შინ და სტუმრად. მორიგ შეხვედრას დედოფლისწყაროს გუნდი საგარეჯოში გამართავს.

თამაზ კონჭოშვილი მიესალმა შეჯიბრის მონაწილეებს და სტუმრებს და აღნიშნა, რომ საქართველოს ისტორიაში მსგავსი ტურნირის მოწყობა არის პირველი ნაბიჯი, რაც ძალზე წაადგება თავისუფალი ჭიდაობას, მის შემდგომ განვითარებას. - ესაა საჭიდაო ტურნირის ევროპაში მიღებული, ტრადიციული ფორმა, რომელიც განაპირობებს ხშირ საჭიდაო პრაქტიკას, რომელიც ასე აკლიათ ჩვენს სპორტსმენებს.

მან საგანგებოდ გაუსვა ხაზი დავით გონაშვილის, როგორც მწვრთნელის, დამსახურებას დედოფლისწყაროსა და გურჯაანის რაიონებში თავისუფალი ჭიდაობის პოპულარიზაციასა და განვითარებაში.

შეხვედრა, რომელიც ხალხით გაჭედილ დარბაზში ჩატარდა, დაძაბული იყო და დედოფლისწყაროს საჭიდაო კლუბის გამარჯვებით 4:3 დამთავრდა. სხვადასხვა წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს - დედოფლისწყაროელთა მხრიდან: ფერდო გონაშვილმა, გურგენ ერემიანმა, აბრამ და ლაშა ბოდაველებმა, ყვარლის გუნდიდან: შამილ გაჯიევმა, მერაბ ჩიტიშვილმა და ზურაბ ტატულაშვილმა.

ჩვენ, მთელი საზოგადოება, ხშირად ვსაუბრობთ მომავალი თაობის სწორ აღზრდაზე, განსახორციელებელ პროექტებზე, საჭირო მეთოდოლოგიაზე და ა. შ.

ის აღმაფრენა და გამარჯვების ჯანსაღი ჟინი, რაც იმ საღამოს დედოფლისწყაროს სპორტულ კომპლექსში სუფევდა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ნამდვილად იყო მომავალი თაობის სწორი აღზრდაც, საჭირო პროექტიც და კიდევ უფრო მეტიც..

მიხეილ მლებრიშვილი

ბრძოლა წესების გარეშე

9-10 თებერვალს ქალაქ თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი „ბრძოლა წესების გარეშე“ და კ-1 წესებით. მონაწილეობდნენ საქართველოს, სასომხეთის, აზერბაიჯანის, დაღესტნის და ირანის სპორტული კლუბები. მათ შორის მონაწილეობა მიიღო ზემო მაჩხაანის სპორტულმა კლუბმა „ზაქებმა“, რომლის შემადგენლობაშიც ოთხი სპორტსმენი შედიოდა.

პირველი ადგილი დაიკავა მარად დაუმარცხებელმა გიორგი ნატროშვილმა. პირველი ადგილის მფლობელები გახდნენ ასევე სანდრო ნატროშვილი და ბუბა გოგოლაძე. მეორე ადგილი დაიკავა თორნიკე აბრამიშვილმა. სპეციალური განვევით მონაწილეობა მიიღო სანდრო ნატროშვილმა ბრძოლა კ-1-წესებით აზერბაიჯანელ სპორტსმენთან, რომელიც იყო 50კგ და წლოვანებით 11წლის, მაგრამ უძლიერესი და დაუმარცხებლად მიჩნეული, ამ მიზეზით მასთან შეხვედრას ვერავინ ბედავდა. ერთადერთი, ვინც მასთან შერკინება გაბედა, ეს სანდრო ნატროშვილი იყო. ის 11 წლისაა და იწონის 35 კილოგრამს მიუხედავად წონით კატეგორიაში შეუთავსებლობისა, ორივე რაუნდში სანდრომ მეტოქე აშკარა უპირატესობით დაამარცხა და კ-1-შიც პირველი ადგილი დაიკავა. ასე რომ, სანდრო ორი ოქროს მედლით მკერდდამშვენებული დაბრუნდა. ამ შეჯიბრის ორგანიზატორი იყო კიკ-ბოგსინგის და შერეული ბრძოლების ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ აკულაშვილი, რომელმაც სანდრო დააჯილდოვა თასით, როგორც ტურნირის ორივე სახეობაში გამარჯვებული და ტურნირის საუკეთესო სპორტსმენი. გუნდის მწვრთნელი გენადი ნატროშვილი გახლავთ.

მადლობა თანადგომისთვის

„ძალა ერთობაშია“- ტყუილად კი არ უთქვამს დიდ სულხან-საბას. სწორედ ერთობამ იხსნა ჩემი შვილის, ზაირა პილოსიანის სიცოცხლე. შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობით შეწუხებული დედა ხომ ყოველთვის ღვთის რწმენით და იმედით ცოცხლობს.

ჩვენს გვერდით უამრავი კეთილი ადამიანი აღმოჩნდა. დიდი შეწევნაა, როცა იმედი დაკარგულია და ამ დროს გამოჩნდება ის, როგორც ბნელში მზის სხივი.ასე იყო, როცა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ გამოყო თანხა ოპერაციისთვის, ურომლისოდაც წარმოუდგენელი იყო ჩემი შვილის გადარჩენა.

ზაირას ერთადერთი გოგონა, ლალიანა უთრუთაშვილი №1 საჯარო სკოლის I კლასის მოსწავლეა. მისი კლასის ხელმძღვანელმა ქეთევან დავითაშვილმა გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი ტკივილი. სკოლის დირექტორმა მაია ლაპიაშვილმა გამოთქვა თანადგომის სურვილი. მისი მონდომებით სკოლამ კეთილი საქმე გააკეთა და ამით ხელი შეუწყო ერთი ლამაზი სიცოცხლის გადარჩენას. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენი ქალაქის სკოლების პედკოლექტივებს და ყველა იმ ბავშვის მშობელს, ვინც თანხა გაიღო. მთელ ჩვენს რაიონში მცხოვრებ ხალხს, იმათაც, ვინც არ ისურვა თავისი სახელის ხმამაღლა გაჟღერება, იმათაც, ვინც სიტყვიერად გაგვამხნევა, მათ შორის მაია ყაზაროვს.

ღმერთმა ყველა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ, თქვენ ხომ ჩემი შვილის სიცოცხლე მაჩუქეთ.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

გულნაზი პილოსიანი,
ქ. დედოფლისწყარო

და თამრიკო ქადაგიშვილი, დისშვილები: ვასიკო, მაია, თამაზი თეთვაძეები, რძალი ნინო კვერეხაძე,სიძე ვანო თევდორაშვილი, შვილიშვილები იუწყებიან

ტუზო ილიას ძე ქადაგიშვილის

გარდაცვალებას.

გამოსვენება სიღნაღიდან, დაკრძალვა 19 თებერვალს, სოფელ მაღაროში 1საათზე

ელგუჯა თეთვაძე, ნათელა ბოსტაშვილი, დათო და ლევან თეთვაძეები ოჯახით სამძიმარს უცხადებენ თამრიკო ქადაგიშვილის ოჯახს ძმის

ტუზო ქადაგიშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ თამრიკო ქადაგიშვილს ძმის

ტუზო ქადაგიშვილის

გარდაცვალების გამო.

მხატვრად უნდა დაიბადო...

(დასაწყისი მეოთხე გვერდიდან)

არ შემიძლია სხვების თანდასწრებით ხატვა. სიმარტოვესა და სიმშვიდეში, მუსიკისა და ლექსის ფონზე ჩემთვის ხატვა სიამოვნებაა,- ამბობს ბელა, რომელიც ფიქრობს - „თქვენ სივრცე მომეცით და ხატვის მიზეზს რა დალევსო“.

- ახალგაზრდა მხატვარს გზას ულოცავს მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი: - მშვენიერი ნახატებია, დღეს ნიჭის გამოფენაა. ამიტომ ჩვენ ვალდებული ვართ, ხელი შევუწყოთ მას. მინდა, ეს ნახატები ჩვენი რაიონის ფარგლებს გასცდეს და უფრო დიდი სივრცეები დაიპყროს.

- ძალიან გამაოცა, ის ღვთისგან რჩეულია, მის ნახატებში მარტო გარეგნული მრავალფეროვნება კი არ გვიხიბლავს, შინაგანი ხასიათის გადმოცემაც. ღმერთო, შენ გაავრცე და გააღრმავე ეს ნიჭი,- ამბობს თავის გამოსვლაში მხცოვანი ჟურნალისტი და მწერალი ოთარ ლობჯანიძე.

გამოფენის გახსნის ცერემონია დაამშვენა და გააცოცხლა დებიმარი, ლიკა და ანა ლოლაშვილების მიერ შესრულებულმა სიმღერებმა.

აღტაცება ვერ დაფარა გამგეობის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდელ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ თამაზაშვილმა,- შესანიშნავი ნახატებია, ამხელა მოცულობითი ტილოების შექმნა დიდ მხატვარსაც კი გაუჭირდება, მითუმეტეს, რომ ის ამ ყველაფერს ქმნის არა სახელოსნოში, სადაც სივრცე და სინათლეა, არამედ ერთ ჩვულებრივ ოთახში, ეს უდაოდ დიდი ნიჭია, რასაც გასაქანი უნდა მიეცეს.

ბელას შემოქმედებას აფასებს დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორი ნინო ბახუტაშვილი:- ის ახალგაზრდაა და თვითნასწავლი. მას არ უსწავლია ფერის დაყენება, კომპოზიციის დაწყობა. ეს, უდაოდ, დიდი ნიჭია. 24 წლის ასაკში ასე ეროვნულად იაზროვნო, ეს ძალიან კარგია. ბელას სჭირდება სერიოზული რეკლამა და ფართო ასპარეზი. მართალია, თბილისში, ფიროსმანის მუზეუმში ორჯერ მოეწყო მისი პერსონალური გამოფენა, სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს, მაგრამ მეტი ხელშეწყობა უნდა. მისი ნახატები ფართო საზოგადოებამ უნდა ნახოს, ვფიქრობ, წარმატება გარანტირებულია. ჩვენზე რაც არის დამოკიდებული, დავეხმარებით. ვეცდებით, გამოუშვას კატალოგი.

- აღფრთოვანებული ვარ- ამბობს ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ნელი გობეჯიშვილი, - ბელას ბავშობიდან ვიცნობ. ორი გამოფენა მოაწყო თბილისში და ყოველთვის მნახველის დიდ ინტერეს იწვევსს. მეამაყება, რომ ჩემი სოფლიდანაა. ხაზი მინდა გავუსვა მისი ოჯახის დამსახურებას, რომელიც ძალიან უნყობს ხელს. მომწონს, რომ მისი მიმართულება ეროვნულ-ქართულია, მისი ხიბლიც ამაშია. ასეთი ამაყი ფიროსმანი ჯერ არავის დაუხატავს, ამაყი და სიყვარულით ბედნიერი, რადგან მარგარიტას ხატვის პროცესშია გადმოცემული. ბელას ვუსურვებ წარმატებას და მეტს და მეტს ველოდებით მისგან.

- მის ნახატებში ადამიანის სული ჩანს. მისი პატრიაქის პორტრეტი, ნიკო გომელაური, გიორგი სააკაძე უზომოდ შამბეჭდავია. მიხარია, რომ მირზაანელია და მინდა, ღირსეული შთამომავალი იყოს დიდი ნიკალასი, არ დაკარგოს თვითმყოფადობა,-გვიზიარებს თავის აზრს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ყოფილი დირექტორი ლია ხუციშვილი.

ბელას ნახატებს იწონებენ და დადებითად აფასებენ პროფესიონალი მხატვრები: აკაკი ბერაბიშვილი, ირინა იაკობიშვილი, სერგო ქართველიშვილი, ჩვენი რაიონის მწერლები და პოეტები: ჯუმბერ უთრუთაშვილი, ზაურ გონაშვილი, ლევან ალავერდაშვილი, საკუთარი ლექსი მიუძღვნა მას თამაზ ნიკლაურმა.

- „ჩემო პატარა მეგობარო გულით გილოცავ ამ შესანიშნავ გამოფენას, დაგლოცავ, გისურვებ შემოქმედებით წარმატებას, წინსვლას, აღფრთოვანებული ვარ შენი შემოქმედებით, იყავი ბედნიერი“, - წერს შთაბეჭდილების წიგნში ექიმი მარინა ღვინიაშვილი, რომელიც ბუნებისაგან ასევე წილნაყარია ხელოვნებასთან. ორიოდე წლის წინ აქ გამოფენილმა მისმა ნაქარგებმაც რომ საზოგადოების აღტაცება გამოიწვია.

- ძალიან ამაყები ვართო,-ამბობდნენ მირზაანელები, რომლებიც დარბაზში მრავლად იყვნენ წარმოდგენილნი როგორც მეგობრები, მეზობლები, ახლობლები,- გვეამაყება ფიროსმანის ნაფუძვარზე ამოხეთქილი ეს თვითნაბადი ნიჭი, რომელიც ერთხელ კიდევ შეახსენებს საზოგადოებას, რომ მირზაანი, სწორედ რომ ნიჭის და ტალანტის აკვანიაო.

რედაქციაც უერთდება საზოგადოებრივ აზრს, ულოცავს ბელას კიდევ ერთ გამარჯვებას და აღიარებას და წერილს თამარ ლობჯანიძის სიტყვებით დავამთავრებ:- „ ბელასთვის განსაკუთრებით სამახსოვრო იქნება დღევანდელი დღე, რამეთუ მშობლიურ მინაზე ასეთი დაფასება ნებისმიერი შემოქმედისთვის დიდი პატივია. ისღა დაგვრჩენია, მადლობა გადავუხადოთ მუზეუმის ხელმძღვანელობას და პირადად მუზეუმის ახალ დირექტორს ლალი გურასპაულს პატარა შემოქმედის თანადგომისთვის, ასევე ნინო ბახუტაშვილს დიდი მხარდაჭერისთვის და რაიონის ხელმძღვანელობას აქ მობრძანებითვის, თითოეულ ადამიანს აქ ყოფნისთვის, ვინც დიდი ინტერესით თუ განცდით მოვიდა ბელას შემოქმედების დასაფასებლად. დავუთმოთ პატარა ფერიას დრო და სივრცე ამოუშრეტელი და უნაპირო, შევხედოთ, როგორც დღეს ნიკალას ვუცქერით აღტაცებით თუ გაოცებით. ორივეს ხომ აქაც აქვთ საერთო-სიზმრები-ნიკალა თავისი ცნობილი სიზმრებში ნასწავლი საღებავებითა და ბელა - დედის საოცნებო სიზმრებში მეორედ დაბადებული. სწორედ ნიკალასთან ახლოს მყოფმა, მის ნატერფალსა თუ ფესვებზე ამოზრდილმა გოგონამ შექმნა ეს მშვენიერება. ხომ არ დადგა დრო იმისა, შემოქმედი სიცოცხლეშივე შევიცნოთ და დავაფასოთ. დაე, წარმატებით ევლოს დიდი შემოქმედებისთვის თანმხვედრ მზიან თუ ავდრიან, თუნდაც ქარიშხლიან, მაგრამ საბოლოოდ ტაძრისკენ მიმავალ გზაზე.“

რეპორტაჟები მუზემიდან
მოამზადა ნაირა გორაშვილმა.

ბელა ლობჯანიძეს

დაწნული დაფნის ტოტები,
თავზე დაადგით ნელა.
ამღერდერბიან ნოტები
ო, ბელა, ბელა,ბელა!
ამღერდებიან ქარები
დიდი ჰამლეტის ქნარზე,
ნიჭმა კვლავ გახსნა კარები
ნიკალას ნააკვნარზე.
სულით ხომ ცეცხლის ალია,
ვარვარა, ცხელი თონე,
ერთი ჰატარა ქალია
დიდი მომავლის მქონე.
ოცნებით მუდამ ცადაა
მზისა და მთვარის ფერი,
ყველა ნახატი სადაა,
ყველა ნახატი მღერის.
ყველა მეტყველი ხაზია,
ყველა... (ვაი თუ ვერ ვთქვა)
თვალად ტურფა და ნაზია
ვით ვარდის გულის ფეთქვა.
გზა დაულოცე საჩინო
საოცარი და ძნელი,
ფერების მგოსნის აჩრდილო,
შენ მოუმართე ხელი.

თამაზ ნიკლაური

გახდა თუ არა სიყვარული ვირტუალური?

„სიყვარული უძველესი, უახლესი და ერთადერთი მსოფლიო მოვლენაა“ – ფრ.რიუკერტი

14 თებერვალს კათოლიკური სამყარო ვალენტინობას აღნიშნავს. ადრე საქართველოში ეს დღესასწაული არავის ახსენდებოდა, თვლიდნენ, რომ რელიგიური და ტრადიციული თვალსაზრისითაც ის არავის უნდა აღენიშნა. სიყვარულის დღედაც 15 აპრილი დამკვიდრდა საქართველოში. მაგრამ რამდენიმე წელია, ახალგაზრდები ვალენტინობას სიყვარულის დღედ აღიქვამენ და ევროპის მსგავსად პომპეზურად აღნიშნავენ. ბევრი ადამიანის აზრით, სიყვარულს განსაკუთრებული დღე სულაც არ სჭირდება, თუკი ადამიანი გიყვარს, ყოველი დღე მისთვის სითბოს გამოხატვისა და სიყვარულის დღე უნდა იყოს, თუმცა, ზოგიერთს მიაჩნია, რომ სიყვარულსაც სჭირდება დღე.

ოდითგანვე პოეტები, ფილოსოფოსები და, მათ შორის, ჩვეულებრივი მოკვდავნიც, საუბრობდნენ, მსჯელობდნენ სიყვარულზე, გრძნობაზე, რომელსაც არც ასაკი გააჩნია და მარადიულია დროსა და სივრცეში...

დღესაც კვლავ ბევრს ლაპარაკობენ სიყვარულზე, მის სახეცვლილებაზე, გამოხატვის ფორმებზე. ამბობენ, რომ გრძნობამ სახე იცვალა და ვირტუალური გახდა. გარკვეულწილად, ეს სიმართლეს შეესაბამება, რადგან ჩვენი ყოველდღიურობა სოციალური ქსელის გარეშე წარმოუდგენელი გახდა, ამიტომ, სადღაც ბუნებრივიცაა, რომ კომპიუტერს მიჯაჭვული ადამიანი სწორედ აქ იცნობს ადამიანს, ვირტუალურად ეკონტაქტება და სიყვარულითაც უყვარდება. სიყვარულის ახსნას რაც შეეხება, სასიყვარულო ბარათებსაც ვირტუალურად უგზავნიან ერთმანეთს და თბილ სიტყვებსაც უძღვნიან. ვირტუალური სიყვარული ხშირად მთავრდება არავირტუალური ოჯახის შექმნით. დღეს ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და ახალგაზრდების უმრავლესობა ამაში უჩვეულოს არაფერს ხედავს. მაგრამ, რამდენად მყარი შეიძლება აღმოჩნდეს ვირტუალურად დაწყებული ურთიერთობა ან რატომ მიიჩნევენ ახალგაზრდები, რომ სოციალურ ქსელში გაიცნონ ერთმანეთი, ვიდრე რეალურ სამყაროში, ამის შესახებ ერთი რესპოდენტის აზრს გთავაზობთ:

- რატომ სჯობს ვირტუალური ურთიერთობა რეალურს და რა მოხდება, თუ შეხვედრისას აღმოაჩენ, რომ ამ ადამიანთან არაფერი გაქვს საერთო. ვირტუალურ სამყაროში ხომ ყველას შეუძლია იყოს ის, ვინც სურს?

- მთავარია ვირტუალურად დაწყებული ურთიერთობა მალევე გადაიზარდოს რეალურში, ვირტუალური დასაწყისი კი საშუალებას გაძლევს ზედმეტი დროის და რესურსების ხარჯვის გარეშე გაიცნო და შეაფასო ადამიანი, შემდეგ კი გამოვა, ან არ გამოვა. ზოგადად, ადამიანები რეალობაში უფრო ნაკლებს უზიარებენ ერთმანეთს, ვიდრე ვირტუალურად.

- ამაში გეთანხმები, მაგრამ რა მოხდება, თუ შეხვდები და სულ სხვა ადამიანს აღმოაჩენ?

- არსებობს ამის საფრთხეც, მაგრამ ძირითადად, უხერხულობა სწრაფად გაივლის. შეუძლებელია ყველაფერი, რაც მითხრა, ტყუილი იყოს.

- ვირტუალური ურთიერთობის დაწყება იმიტომ ხომ არ გადაწყვიტე, რომ რეალურმა არ გაამართლა?

- ვირტუალური ურთიერთობის დაწყება გადავწყვიტე მას შემდეგ, რაც მივხვდი, რომ ადამიანების პოვნა რეალურ ცხოვრებაში რთულია, მეტ დროს და რესურსს მოითხოვს. მთელი იდეა არის ის, რომ საუკეთესო შეარჩიო რამდენიმე ვარიანტიდან და აქციო რეალობად. თუმცა მხოლოდ ვირტუალური ურთიერთობის მომხრე არ ვარ.

ინგა შიოლაშვილი

ამინდი

დედოფლისწყარო

შაბათი 16. 02	კვირა 17. 02	ორშაბათი 18. 02	სამშაბათი 19. 02	ოთხშაბათი 20. 02	ხუთშაბათი 21. 02	პარასკევი 22. 02
დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე
9° 4°	4° 0°	4° 0°	3° 2°	0° -4°	1° -1°	2° 0°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); მიხეილ მლეზრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K